**საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი**

# ბრძანება N 2-9

06/01/2021

ქ. თბილისი

**ცაგერის მუნიციპალიტეტში, შპს „ჯონოული 2"-ის 12 კმ სიგრძის 110 კვ ძაბვის ერთჯაჭვა საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ**

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" მე-9 მუხლის და ამავე კოდექსის II დანართის მე-3 პუნქტის 3.4 ქვეპუნქტის საფუძველზე

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. გაიცეს ცაგერის მუნიციპალიტეტში, შპს „ჯონოული 2"-ის 12 კმ სიგრძის 110 კვ ძაბვის ერთჯაჭვა საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტზე სკოპინგის დასკვნა N99 (22.12.2020წ.);
2. შპს „ჯონოული 2"-მა სავალდებულოა გზშ-ის ანგარიშის მომზადება უზრუნველყოს N99 (22.12.2020წ.) სკოპინგის დასკვნის შესაბამისად;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „ჯონოული 2"-ს;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „ჯონოული 2"-ის მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკოპინგის დასკვნის გაცემიდან 5 დღის ვადაში სკოპინგის დასკვნა განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და ცაგერის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოების საინფორმაციო დაფებზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

**ლევან დავითაშვილი**

**მინისტრი**